ევროკავშირი
საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

ინფორმაცია მედიისთვის

გაეროს ინდისტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) კონფერენცია **"შექმნის თუ არა რესურეფექტურობა ბიზნესის წარმატების საფუძველს საქართველოში?"** გაიმართება ჰიბრიდულ ფორმატში (დასწრებით და ონლაინ) **2023 წ 7-8 ნოემბერს, თბილისში, სასტუმრო ბილტმორში**. დასაწყისი 9:30 (ადგილობრივი დროით).

კონფერენციის მიზანია ხაზი გაუსვას და ხელი შეუწყოს ქართული საწარმოების მდგრადობას და მწვანე ზრდას, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისას რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) სარგებლის დემონსტრირებით. გარდა ამისა, კონფერენციის ექვს სესიაზე ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებს მიეცემათ საშუალება იმსჯელონ და გაიზიარონ საწარმოების „გამწვანების" გამოცდილება, მეთოდები და პროგრამები.

კონფერენციის სამიზნე აუდიტორიაა საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარებით დაინტერესებული მხარეები, მათ შორის მთავრობა, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ასევე მცირე და საშუალო ბიზნესი, მათ შორის სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლები; ბიზნესი, ექსპერტები საინჟინრო (ქიმიური, სამრეწველო, გარემოსდაცვითი) და ენერგეტიკის სფეროებიდან, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ასევე EU4Environment (2019-2024) და EaP GREEN (2013-2017) პროგრამებში მონაწილე სპეციალისტები (რესწ კლუბების და რესწ სადემონსტრაციო კომპანიების წარმომადგენლები, რესწ ექსპერტები).

ეროვნული პოლიტიკისადმი მიძღვნილ **პირველ სესიაზე** განიხილება მწვანე განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიები, აქცენტი გაკეთდება სამრეწველო საწარმოებზე, არსებულ პოლიტიკასა და საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მათ შორის, ეს ასევე მოიცავს სამრეწველო დაბინძურების და ემისიების, ნარჩენების და წყლის მართვის საკითხებს და ევროკავშირის მწვანე გარიგების საკითხებს და საქართველოს ახალი მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავებას.

მეორე სესიის ყურადღების ცენტრში მოექცევა რესწ-ის დანერგვა, რადგან ამ მეთოდოლოგიის გამოყენება ამაღლებს კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობას. **მესამე სესიაზე** აქცენტირდება საქართველოში წრიულ ეკონომიკაზე (CE) გადასვლაზე რასაც, უკვე მხარს უჭერს მთელი რიგი რეგიონული და ეროვნული ინიციატივები. ამ სესიაზე მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას საქართველოსა და შავი ზღვის აუზში წრიული ეკონომიკის რუკირების შესახებ და გაეცნობიან ნარჩენების მართვის არსებულ პოლიტიკას. სესიის ფარგლებში განხილული იქნება სამრეწველო ნარჩენების რუკირების (IWM) კონცეფციაც, სადაც წარმოდგენილი იქნება ორი საპილოტე მუნიციპალიტეტის (ზესტაფონისა და რუსთავის) წარმატებული გამოცდილება.

მეოთხე სესია მოიცავს პროდუქტზე ორიენტირებული ინიციატივების მიმოხილვას, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის გამწვანებას, როგორიცაა ეკო-ინოვაცია და ეკო-ეტიკეტირება, პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი (PEF), როგორც მწვანე პროდუქტების ერთიანი ბაზრის (SMGP) ინიციატივის ნაწილი, ეკო-ინოვაციის

ხელშეწყობა და ბიზნესის „გამწვანების“ სტიმულირება მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების (SPP) და მისი დამატებითი ინსტრუმენტების მეშვეობით.

კონფერენციის **მეორე დღე** გადაიქცევა პლატფორმად, სადაც მონაწილეებს შეეძლებათ განიხილონ მცირე და საშუალო ბიზნესის „გამწვანებისთვის“ საჭირო უნარები და დაფინანსება. **მეხუთე სესიაზე** გაიმართება ტრენინგებისა და სასერტიფიკაციო პროგრამების პრეზენტაცია, მათ შორის, ენერგიის ალტერნატიურ წყაროებზე გადასვლა შემოსავლებისა და დასაქმებისთვის. სესიაზე ასევე განხილული იქნება კავშირი უნარების განვითარებასა და დასაქმებას პერსპექტივებს შორის და წარმოჩენილი იქნება ამ სფეროში გამორჩეული და წარმატებული მაგალითები. **მეექვსე სესიაზე** განიხილება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მწვანე გადასვლის დაფინანსების საკითხები. წარმოდგენილი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის „გამწვანების“ არსებულ პროგრამები და შესაბამისი დაფინანსების ხელმისაწვდომი წყაროები. სესიაზე განხილული იქნება საქართველოში მწვანე ტაქსონომიის დანერგვის პროცესი, ასევე სხვადასხვა ბანკების წარმომადგენლები ისაუბრებენ ამ კუთხით ჩატარებულ ღონისძიებებზე და იმ წარმატებულ პროექტებზე, რომლებიც ქართულ სამრეწველო სექტორში ახალი მწვანე ინვესტიციების სტიმულირებას უწყობსდ ხელს.

ზოგადი ინფომრაცია

რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) არის კრებსითი ტერმინი, რომელიც მოიცავს პროცესებზე, საქონელსა და სერვისებზე პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიების გამოსაყენებას სამრეწველო სექტორის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით და ადამიანებზე და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად.

UNIDO-მ შეიმუშავა რესწ მეთოდოლოგია რათა დაეხმაროს საწარმოებს მათ მიერ გამოყენებული რესურსების იდენტიფიცირებაში, შეფასებაში და დანაკარგების აღმოფხვრაში- შედეგად მდგრადობის გაზრდასა და პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) სხვა ქვეყნებში, UNIDO-ს რესწ მეთოდოლოგია დანერგილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროგრამის „EU4Environment“-ის ფარგლებში.

EU4Environment-ის შესახებ

EU4Environment არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შეინარჩუნონ ბუნებრივი სიმდიდრე და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა გარემოსთან დაკავშირებული ქმედებების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებით და გახსნით და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექნიზმების შექმნით. პროგრამას ახორციელებს ხუთი პარტნიორი ორგანიზაცია: OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკი 2019-2024 წლებში, 20 მილიონი ევროს ბიუჯეტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს:: **www.eu4environment.org;**
საქართველოში საქმიანობის შესახებ ინფორმაციისთვის, ეწვიეთ ბმულს: visit:
www.recp.ge

ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ პროექტის მენეჯერს, ქ-ნ ტატიანა ჩერნიავსკაიას,

(t.chernyavskaya@unido.org) და/ან ქ-ნ ლიანა ღარიბაშვილს, საქართველოში პროექტის კოორდინატორის თანაშემწეს (l_gari@eecgeo.org, Tel: +995 599 548782).

საკომუნიკაციო მასალა

The "Greening the Industry" (GTI) campaign in Georgia **ინდუსტრიის "გამწვანების" კამპანია საქართველოში**	https://www.eu4environment.org/news/greening-the-industry-campaign-in-georgia/
The Product Environmental Footprint (PEF) methodology in Georgia **პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი**	https://www.eu4environment.org/the-product-environmental-footprint-methodology/

The Resource Efficient and Cleaner Production (RECP) success stories of 37 Georgian enterprises **რესურსეფექტური და სუფთა წარმოება- წარმატების ისტორიები 37 ქართულ საწარმოში**	https://www.eu4environment.org/success-story-of-a-georgian-sme-using-recp-methodology/
Industrial Waste Mapping (IWM) in two pilot regions in Georgia **ორ საპილოტე მუნიციპალიტეტებში სამრეწველო რუკების შედგენა**	https://www.eu4environment.org/industrial-waste-mapping-in-pilot-areas-in-azerbaijan-georgia-and-ukraine/

Leaflet on Circular Economy and New Growth Opportunities in Georgia **ლიფლეტი- ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები საქართველოში**	https://drive.google.com/drive/folders/1NhiDqWVtW_QHYvt8KQHrlMtRazIj_Xw1